საქართველო
ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

N 50 33 03/09/2020

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში არჩევნებთან დაკავშირებით საარჩევნო სუბიექტების ამომრჩევლებთან შეხვედრის უზრუნველყოფისათვის შეხვედრის ადგილების გამოყოფის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის პირველი და მე -2 ქვეპუნქტისა და საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“- ს 45–ე მუხლის მე-9 პუნქტისა და საქართველოს პრეზიდენტის 2020 წლის 31 აგვისტოს №31/08/01 განკარგულების გათვალისწინებით

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვიტა:

მუხლი 1. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში საქართველოს პარლამენტის არჩევნებთან დაკავშირებით საარჩევნო სუბიექტების ამომრჩევლებთან შეხვედრის მიზნით მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შექმნილი საარჩევნო უბნების მიხედვით განისაზღვროს შეხვედრის ადგილები დანართი #1–ს შესაბამისად (თან ერთვის)

მუხლი 2. დაევალოს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატს განკარგულების (საარჩევნო სუბიექტების ამომრჩეველებთან შეხვედრის თაობაზე ინფორმაციის) გამოქვეყნება ადგილობრივ ბეჭდვით ორგანოებში და მუნიციპალიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე.

მუხლი 3.განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.

მუხლი 4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ზესტაფონის რაიონულ სასამართლოში მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში (ქ. ზესტაფონი, წერეთლის ქუჩა #7).

მანანა ბარბაქაძე

საკრებულოს თავმჯდომარე